ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №6713681

ნომერი: AR1994705

თარიღი : 11.10.2023

გაცემის თარიღი : 18.10.2023

გაცნობის თარიღი : 19.10.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მიხეილ ბურძგლას ქუჩა, N 65;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ბაბაჯანაშვილი პ/ნ 01027058252
- ქ. თბილისი, ჯავახეთის ქ.9ა კორპ. ბინა 1

ორგანიზაცია:

- შპს ეპიკ ისანი კოდი: 401992368

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 09 ოქტომბრის №6699347 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 11 ოქტომბერს №AR1994705 განცხადებით მომართა ქეთევან ბაბაჯანაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 09 ოქტომბრის №6699347 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მონაცემებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 09 ოქტომბრის №6699347 გადაწყვეტილებით სამსახური დაეთანხმა ქ. თბილისში, მიხეილ ბურძგლას ქუჩა №65-ში (ს/კ: 01.10.15.022.035.02.04.510), შპს „ბაგები“-ს საკუთრებაში არსებულ ტერასაზე საჩრდილობლისა და მოძრავი გამჭოლი დარაბების მოწყობის შესაძლებლობას.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2023 წლის 09 ოქტომბრის №6699347 გადაწყვეტილებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ შპს „ბაგები“-ს ნაცვლად დაფიქსირდა შპს „ეპიკ საბუღტალო“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

სამსახურმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია: 882022629161, მომზადების თარიღი: 06/09/2022 წ.), №01.10.15.022.035.02.04.510 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ბაგები“ (ს/ნ: 405330262). თუმცა, ტექნიკური შეცდომის გამო მესაკუთრის მონაცემები არასწორად დაფიქსირდა. ამასთან, ბრძანებაში მიწის ნაკვეთის „მესაკუთრე(ები)“-ის ველში შპს "ბაგები" (405330262) სწორად არის მითითებული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2023 წლის 09 ოქტომბრის №6699347 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების ტექსტში შპს „ეპიკ საბუღტალო“-ს ნაცვლად დაფიქსირდეს შპს "ბაგები" (405330262).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 09 ოქტომბრის №6699347 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 09 ოქტომბრის №6699347 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.